

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**  
**განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**  
**ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტი**

<b>პროგრამის სახელწოდება</b>	<b>მუზეუმის მენეჯმენტი</b>
<b>სტრუქტურული ერთეული</b>	უწყვეტი განათლების ცენტრი
<b>კოდი</b>	CHF10
<b>პროგრამის მოცულობა ECTS</b>	30 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა</b>	ერმილე მესხია - პროფესორი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. მობ. 593 32 57 96. ელ ფოსტა: <a href="mailto:ermile_mesxia@mail.ru">ermile_mesxia@mail.ru</a> სპეციალისტის მომზადების პროგრამის რეალიზაცია უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნების უნივერსიტეტის, ბათუმის ტურისტული დაწესებულებების მაღალკვალიფიციური კადრებით. სწავლების პროცესში ჩართული იქნებიან ქ. თბილისიდან და უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები.
<b>პროგრამის მიზანი</b>	პროგრამის მიზანია მსმენელმა მიიღოს კვალიფიციური ცოდნა სამუზეუმო მართვის საქმეში. შეისწავლოს მუზეუმებისა წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მისი როლი და ადგილი საზოგადოებაში. დაეუფლოს მუზეუმის მართვის სპეციფიკას, სტრუქტურას, სამუზეუმო ფონდების დამუშავების, გამოყენებისა და დაცვის, შეისწავლოს ფონდების საინფორმაციო-საძიებელი აპარატი. მუზეუმის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უცხოეთისა და საქართველოს მუზეუმების კვალიფიციურ სპეციალისტთა მიერ მომზადებული სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამის დისციპლინები შერჩეულია იმ პრონციპით, რომ მსმენელმა სრული ინფორმაცია და ელემენტარული ცოდნა მიიღოს სამუზეუმო დარგის მართვის სფეროში. პროგრამის ათვისების პროცესში გათვალისწინებულია პრაქტიკა ბათუმის მუზეუმებში და სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსია საქართველოს სხვა მუზეუმებში. მსმენელი ვალდებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი აითვისოს, თეორიული კურსის დასრულების შემდეგ გაიაროს ტესტირება და პრაქტიკა.
<b>დაშვების წინაპირობა</b>	სრული ზოგადი განათლება
<b>ცოდნის შეფასების სისტემა</b>	მსმენელი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

	<p>მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>მსმენელი "ჩაიჭრა" შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</li> <li>● შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</li> </ul>
<b>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</b>	<p>ევრისტიკული მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; - პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრეზენტაცია; სტუდენტთა აქტივობები: ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობა; პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პრაქტიკა; წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ-რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.</li> </ul>
<b>ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა</b>	სასწავლო კურსის გავლა შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად.
<b>სწავლის საფასური</b>	<p>სწავლის საფასური განისაზღვრება საათის ღირებულების მიხედვით.</p> <p>1 აკადემიური საათი 15 ლარი. ჯგუფთან ერთად კურსის გავლის შემთხვევაში 1 აკადემიური საათის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით.</p>
<b>კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა</b>	<b>სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი</b>

### სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა		
			სულ	საკონტ.	დამოუკ.
CHf10c-1	სამუზეუმო საქმის მენეჯმენტი	5	125	50	75
CHf10c-2	სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტება, აღრიცხვა და შენახვა	4	100	40	60
CHf10c-3	საზოგადოებასთან მუშაობის პროგრამები	3	75	30	45
CHf10c-4	საქმისწარმოება	2	50	20	30
CHf10c-5	მეტყველების კულტურა	3	75	30	45
CHf10c-6	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	2	50	20	30
CHf10c-7	სამუზეუმო კანონები და ნორმატიული აქტები	2	50	20	30
CHf10c-8	IT ტექნოლოგიები	2	50	20	30
CHf10c-9	საქართველოსა და უცხეთის მუზეუმები	2	50	20	30
CHf10c-10	პრაქტიკა	5	125	50	75
<b>სულ</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>300</b>	<b>450</b>